



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება



MES 7 20 0001096590



16/11/2020

„ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 06 მარტის №170 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის მოადგილის 2020 წლის 11 ნოემბრის №1087936 და 2020 წლის 13 ნოემბრის №1091115 სამსახურებრივი ბარათების გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2018 წლის 06 მარტის №170 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის“:

ა) მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6-მე-12 პუნქტები:

„6. ექსპერტთა კორპუსის წევრების კონკურსის გზით შერჩევისას, კონკურსში მონაწილე კანდიდატი უფლებამოსილია ექსპერტთა კორპუსის წევრების შერჩევის მიზნით

გამოცხადებული კონკურსის ეტაპზე მიღებული უარყოფითი შეფასება წერილობითი ფორმით გაასაჩივროს ცენტრში, აღნიშნული კონკურსის საბოლოო შედეგებზე დაყრდნობით მისთვის ინდივიდუალური შედეგის გაცნობიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

7. ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება საჩივრების განმხილველი სააპელაციო კომისია, რომელიც განიხილავს კონკრეტული კონკურსის ფარგლებში მიღებულ უარყოფით შეფასებასთან დაკავშირებულ საჩივრებს.

8. საჩივრების განმხილველი სააპელაციო კომისია შედგება არანაკლებ 3 წევრისგან, რომელთაგან ერთ-ერთი, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, განისაზღვრება აღნიშნული კომისიის თავმჯდომარედ. საჩივრების განმხილველი სააპელაციო კომისიის საქმიანობა განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

9. საჩივრების განმხილველი სააპელაციო კომისია თითოეულ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მისი ცენტრში რეგისტრაციის მომენტიდან 15 სამუშაო დღის ვადაში.

10. საჩივრების განმხილველი სააპელაციო კომისია, წარმოდგენილი საჩივრისა და კონკრეტული კონკურსის ფარგლებში არსებული მასალების გათვალისწინებით, იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) საჩივრის დაკმაყოფილებისა და კანდიდატისთვის დადებითი შეფასების მინიჭების თაობაზე;

ბ) შესაბამისი საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების გაზიარებისა და უარყოფითი შეფასების ძალაში დატოვების თაობაზე.

11. საჩივრების განმხილველი სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში წერილობითი ფორმით ეცნობება ცენტრის დირექტორს და კანდიდატს.

12. საჩივრების განმხილველი სააპელაციო კომისიის მიერ ამ მუხლის მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, კანდიდატისთვის შესაბამისი კონკურსის პროცესით გათვალისწინებულ ეტაპებთან დაკავშირებული შესაბამისი აქტივობები განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.“;

ბ)მე-14 მუხლის:

ბ.ა)მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. ექსპერტი უფლებამოსილია ექსპერტთა ატესტაციის პროცესით გათვალისწინებულ ეტაპზე მიღებული უარყოფითი შეფასება წერილობითი ფორმით გაასაჩივროს ცენტრში, ექსპერტთა ატესტაციის საბოლოო შედეგებზე დაყრდნობით მისთვის ინდივიდუალური შედეგის გაცნობიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.“;

ბ.ბ) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება საჩივრების განმხილველი სააპელაციო კომისია, რომელიც განიხილავს კონკრეტული ატესტაციის ფარგლებში მიღებულ უარყოფით შეფასებასთან დაკავშირებულ საჩივრებს.“;

ბ.გ) მე-12 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 12¹ პუნქტი:

„12¹. საჩივრების განმხილველი სააპელაციო კომისიის მიერ ამ მუხლის მე-11 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ექსპერტისთვის ექსპერტთა ატესტაციის პროცესით გათვალისწინებულ ეტაპებთან დაკავშირებული შესაბამისი აქტივობები განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.“.

2. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ

